ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
№35

ქ. თბილისი; 18 დეკემბერი, 2018 წ. 13 :00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)
ნინო ლაცაბიძე
ავთანდილ ცინცაძე
თინათინ ნიბლოშვილი
ელენე ოზაშვილი
ქეთევან მამულაშვილი
გიორგი ჩაკვეტაძე
დავით ჭელიძე

. მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსი - ნინო კვეტენაძე

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1. "ქალაქ თბილისში, გლდანის ხევში, კორპუს 4-ში მდებარე 47 კვ.მ. ფართობის ბინა N28-ის (ს/კ: N01.11.05.002.007.01.028) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

2. „ქალაქ თბილისში, ჭიჭინაძის ქუჩა კორპუს N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.019.001.01.502) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

3. "ქალაქ თბილისში, რეხის ქუჩა N6-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.08.004.065.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

4. "ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის შესახვევის კორპუს N16-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.33.003.021.01.041) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

5. „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის II მიკრო/რაიონი, ბ. ჟღენტის ქუჩის მიმდებარედ არსებული 348 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.14.01.007.334) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/კ 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

6. "ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლების I მიკრორაიონის კორპუს N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.007.014.01.055) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

7. "ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლებაში, დემეტრე თავდადებულის ქუჩა N10-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.06.006.044.01.504) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" თანხმობის მიცემის

შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

8. "ქალაქ თბილისში, ზერიაშვილის ქუჩა N6-ში (ნაკვეთი N04/033) (საკადასტრო კოდი: N01.19.19.004.033) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

9. „ქალაქ თბილისში, გლდანის მასივის VI მიკრო/რაიონის კორპუს N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.10.010.001.01.502) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

10. "ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი N89-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.24.008.002.01.532; N01.19.24.008.002.01.533) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

11. „ქალაქ თბილისში, საქსოფმანქანის დასახლებაში, მე-4 კვარტლის კორპუს N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.007.013.01.059) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

12. „ქალაქ თბილისში, ორხევის დასახლებაში, ახვლედიანის ქუჩა კორპუს N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.17.004.005.01.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე"თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

13. „ქალაქ თბილისში, ფონიჭალა 3-ის დასახლების კორპუს N17-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.13.024.006.01.117) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

14. „ქალაქ თბილისში, შოთა ნადირაშვილის ქ.N34-ის მე-6 სართულზე („ა"ბლოკი) მდებარე ბინა N42-ის (ს/კ: N01.17.14.003.508.01.042) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

15.„ქალაქ თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე არსებული 1756 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.016.148) შპს „ალმასთვის“ (ს/ნ: 204873388) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

16.„ქალაქ თბილისში, ვანის ქუჩა #15-ში (საკადასტრო კოდი: #01.13.06.002.026) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

17.“ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი №37-ის მიმდებარედ არსებული 12 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.14.14.003.199) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „არქი თაუერისთვის“ (ს/კ: 404987305) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

18.“ქალაქთბილისში, 9 მარტის პარკის ტერიტორიაზე არსებული 11521 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი:№ 01.15.04.029.001) 40 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „არტისთვის“ (ს/ნ: 437062919) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

19.“ქალაქ თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირი №67-ის მიმდებარედ არსებული 25 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.17.13.038.046) შპს „ჯორჯიან ბიზნეს კომპანიისთვის“ (ს/კ: 402072500) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

20.“ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №47-ის მიმდებარედ 7 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.16.05.021.033) პირდაპირი განკარგვის წესით ცაბუ პატარიძისთვის (პ/ნ:01030001330) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

21.„ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზ. #62-ის მიმდებარედ არსებული 292 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.14.11.003.029) 18 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ემვე კომპანისთვის“ (ს/კ: 406127016) სარგებლობის უფლებით

იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

22.„ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის -ქონების მართვის სააგენტოს 2013 წლის 24 სექტემბრის NE-218-12-7711 გადაწყვეტილებით გათვალისწინებული სარგებლობის საფასურის გადახდის ვალდებულების დარღვევისათვის, სარგებლობის პირობების 10.1 პუნქტის საფუძველზე დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსაგან ნიკა ლობჟანიძის (პ/ნ: 60001122517) გათავისუფლების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვენეტაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, გლდანის ხევში, კორპუს 4-ში მდებარე 47 კვ.მ. ფართობის ბინა N28-ის (ს/კ: N01.11.05.002.007.01.028) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა განმარტა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, გლდანის ხევში, კორპუს 4-ში მდებარე 47 კვ.მ. ფართობის ბინა N28-ის, მოქალაქე იოსებ ჭაღიაშვილისათვის სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემას.

ნინო კვენეტაძის თქმით, მოქალაქ იოსებ ჭაღიაშვილი გახლავთ 2002 წლის 25 აპრილს ქალაქ თბილისში მომხდარი მიწისძვრით დაზარალებული პირი, რომელსაც დაინტერესებაში არსებული ქონება გადაეცემა სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით.

საკითხის წარმომდგენმა განმარტა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, იოსებ ჭაღიაშვილს უნდა შეუნარჩუნდეს საკუთრებაში არსებული, მიწისძვრით დაზიანებული

ქონება, ხოლო შესაბამისმა ადმინისტრაციულ ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ იოსებ ჭაღიაშვილისათვის, მის მიერ დაკავებული ფართის საკუთრებაში გადაცემა.

საკითხის წარმომდგენა ისაუბრა საკითხის ირგვლივ არსებულ გარემოებებზე და აღნიშნა, რომ სტიქიის შედეგების ლიკვიდაციის მიზნით, ჯერ კიდევ 2003 წელს მიღებულ იქნა ქალაქ თბილისის მთავრობის 2003 წლის 5 ივნისის N08.28.176 დადგენილება, რომელიც ითვალისწინებდა, მიწისძვრის სალიკვიდაციო ღონისძიებების უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი სპეციალური ფონდის მიერ, მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციოდ, დროებითი თავშესაფრის სახით შეძენილი ბინების, მიწისძვრის შედეგად დანგრეული ან დანგრევას დაქვემდებარებული საცხოვრებელი სახლების მქონე მოსახლეობისათვის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე წესის დამტკიცებას;

ასევე, მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ მიღებულ 2010 წლის 23 სექტემბრის N25.16.1198 დადგენილებაში მითითებულია, რომ მიწისძვრით დაზარალებული პირების, რომელთაც დადგენილი წესით, შესაბამისი დოკუმენტაციით მიენიჭათ „დესტინატერთა" სტატუსი, გარკვეული კონტიგენტი დაკმაყოფილდა საცხოვრებელი ფართებით, აღნიშნული დადგენილებით განისაზღვრა შემდეგი საკითხები:

1. ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილების ფარგლებში, იმ დაზარალებული პირების, საცხოვრებელი ფართების გადაცემით დაკმაყოფილების საკითხის განხილვა, რომლებსაც არ ჰქონდათ „დესტინატერები"-ს სტატუსი ოფიციალურად მინიჭებული, მიწისძვრის შედეგად დაზიანებული უძრავი ქონების ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში სანაცვლოდ გადაცემის პირობით.

2.ზემოაღნიშნულ ღონისძიებათა უზრუნველყოფის ვალდებულება დაეკისრა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს;

მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ მიწისძვრით დაზარალებულ პირთა დაკმაყოფილების საკითხების ინდივიდუალურად განხილვის მიზნით, ქალაქ თბილისის მთავრობის 2010 წლის 17 დეკემბერს, N34.18.1566 დადგენილებით, ცვლილება შევიდა მთავრობის N25.16.1198 დადგენილებაში და განისაზღვრა შემდეგი საკითხები:

1. ქონების გადაცემით დაინტერესებულ პირებს არაუგვიანეს 2011 წლის პირველი მაისისა უნდა მიემართათ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსთვის;

2. სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, დაინტერესებულ პირთა დაკმაყოფილების თაობაზე მომზადებული საკითხები განსახილველად უნდა წარედგინა ქალაქ თბილისის მთავრობისთვის;

3. ასევე, დაევალა, ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციას აღნიშნული ცვლილებების შესახებ მიღებული სამართლებრივი აქტის ქ. თბილისის მერიის ვებგვერდზე განთავსების უზრუნველყოფა;

ნინო კვეტენაძემ აღნიშნა, რომ მოქალაქე იოსებ ჭაღიაშვილმა მიწისძვრის შედეგად დაზიანებული ქონება მდებარე - ქალაქი თბილისი, დიდი ჯიხაიშის ქუჩა მე-2 ჩიხი, N11, ფართი 79 კვ.მ. დაირეგისტრირა 2013 წლის 4 ივნისს, თუმცა, მოგვიანებით, განახორციელა აღნიშნული უძრავი ქონების დაყოფა და 28 კვ.მ. ფართი საკუთრებაში დაირეგისტრირა, ხოლო, ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, 2013 წლის 26 ივლისს 51 კვ.მ. გაასხვისა მოქალაქე დიმიტრი გიგაურზე.

იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსის თქმით, მოქალაქე იოსებ ჭაღიაშვილმა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, მის მიერ დაკავებული ფართის - მდებ. ქალაქ თბილისში, გლდანის ხეივში, კორპუს 4-ში მდებარე 47 კვ.მ. ფართობის ბინა N28-ის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე, ხოლო ამ უკანასკნელმა, 2015 წლის 27 თებერვალს, იოსებ ჭაღიაშვილის სასარჩელო მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.

როგორც ქალბატონმა ნინომ განაცხადა, თბილისის სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, იმ მოტივით, რომ სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა შესაბამისი დადგენილების ცვლილებამდელი რედაქციით, შესაბამისად, იოსებ ჭაღიაშვილს შეუნარჩუნდა საკუთრებაში არსებული ქონება (რომელიც დაირეგისტრირა 2013 წელს), ხოლო ადმინისტრაციულ ორგანოებს დაევალათ იოსებ ჭაღიაშვილისათვის დაინტერესებაში არსებული ქონების გადაცემა. ამასთან, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გაიზიარა თბილისის სააპელაციო სასამართლოს პოზიცია.

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივი დასაბუთების ნაწილში მითითებულ იქნას შემდეგი სამართლებრივი ნორმები:

- საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი; ამავე კოდექსის 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტი და 118[1] მუხლის მე-3 პუნქტი.

- აგრეთვე, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N21-85

დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტი და ამავე წესის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტი.

ბატონი ლევანის თქმით, მიზანშეწონილია, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში მიეთითოს საკუთრებაში გადასაცემი უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური - სიმბოლური თანხის 1 (ერთი) ლარის ოდენობით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

2. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვენეტაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, ჭიჭინაძის ქუჩა კორპუს N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.019.001.01.502) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" თანხმობის მიცემის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, ჭიჭინაძის ქუჩა, კორპუს N7-ში პირველ სართულზე მდებარე 63,74 კვ.მ უძრავი ქონების, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად, მოქალაქე ნანა ასტამაძისათვის საკუთრებაში გადაცემას, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

მომხსენებლის თქმით, შინაგან საქმეთა სამინისტრო არ ფლობს ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ რა დროის განმავლობაში ცხოვრობს მოქალაქე ნანა ასტამაძე აღნიშნულ მისამართზე. თუმცა, როგორც ქალბატონმა კვენეტაძემ აღნიშნა, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობის წერილი, რომლითაც ირკვევა, რომ მოქალაქე ნანა ასტამაძე 3 შვილთან ერთად ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე და შეტანილია დაინტერესებულ პირთა დაზუსტებულ ნუსხაში.

ნინო კვენეტაძემ იქვე დასძინა, რომ დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, მოქალაქე ნანა ასტამაძემ მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარ წევრს, ქეთევან მამულაშვილს, რომელმაც თავის მხრივ აღნიშნული განცხადება თანდართულ დოკუმენტებთან ერთად

შემდგომი რეაგირებისთვის გადაუგზავნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსს ირაკლი თავართქილაძეს.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა ის გარემოება, რომ, საკითხთან დაკავშირებულ საქმის მასალებთან ერთად წარმოდგენილი არ არის პოლიციის დეპარტამენტის შესაბამისი სამმართველოს ოქმი, რომლის მიხედვით დადგინდება, რა დროის მანძილზე ცხოვრობს ნანა ასტამაძე აღნიშნულ მისამართზე. **კომისიის თავმჯდომარე** დაინტერესდა, რა მიზეზით ვერ მოხერხდა აღნიშნული ოქმის საქმის მასალებზე დართვა.

ნინო კვენეტაძემ უპასუხა კომისიის თავმჯდომარეს და განმარტა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის ინფორმაციით, ისინი ვერ ადასტურებენ ინფორმაციას ნანა ასტამაძის აღნიშნულ მისამართზე შეჭრის ფაქტთან დაკავშირებით და არ ფლობენ არანაირ ინფორმაციას აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში. თუმცა, ნინო კვენეტაძის თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობა ადასტურებს, რომ მოქალაქე ნანა ასტამაძე ხანგრძლივი დროის განმავლობაში ცხოვრობს დაინტერესებაში არსებულ მისამართზე.

ნინო კვენეტაძემ იქვე დასძინა, რომ არსებობს გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც ანალოგიურ საკითხებთან დაკავშირებით წარმოდგენილ დოკუმენტაციას არ ახლავს პოლიციის ოქმი, რომელიც ადგენს დაინტერესებაში არსებულ საცხოვრებელ მისამართზე პირის შეჭრის ფაქტს.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - **ლევან ჟორჟოლიანმა** განმარტა, რომ მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივი დასაბუთების ნაწილში მითითებულ იქნას შემდეგი სამართლებრივი ნორმები:

- საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი; ამავე კოდექსის 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტი და 118[1] მუხლის მე-3 პუნქტი.

- აგრეთვე, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტი და ამავე წესის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტი.

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში მიეთითოს საპრივატიზებო საფასური, სიმბოლური თანხა - 1 (ერთი) ლარის ოდენობით. ასევე, გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი მთავრობის განკარგულების მითითების ნაწილში.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ევროპული საქართველო“ წევრმა ელენე ოზაშვილმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

3. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვენეტაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, რეხის ქუჩა N6-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.08.004.065.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, რეხის ქუჩა N6-შიმდებარე უძრავი ქონების, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად მოქალაქე დოდო დავითულიანისათვის საკუთრებაში გადაცემას, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

მომხსენებლის თქმით, საკითხთან დაკავშირებით, წარმოდგენილია ჩუღურეთის რაიონის გამგეობის წერილი, რომლიდანაც ირკვევა, რომ მოქალაქე დოდო დავითულიანი 10-15 წლის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს ზემოაღნიშნული უძრავი ქონებით.

როგორც ნინო კვენეტაძემ განაცხადა, სააგენტოში ასევე წარდგენილია ჩუღურეთის რაიონის გამგებლის სახელზე წარდგენილი განცხადება, რომლითაც ჩუღურეთის რაიონის, რეხის დასახლება, სპორტ-კომპლექსში მცხოვრები 16 (თექვსმეტი) ოჯახი (მათ შორის, მოქალაქე დოდო დავითულიანი) აღნიშნავს, რომ 1994 წლიდან ცხოვრობს ხსენებულ ფართში და ითხოვენ ბინების დაკანონებას.

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივი დასაბუთების ნაწილში მითითებულ იქნას შემდეგი სამართლებრივი ნორმები:

- საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი; ამავე კოდექსის 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტი და 118[1] მუხლის მე-3 პუნქტი.

- აგრეთვე, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტი და ამავე წესის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტი.

კომისიის თავმჯდომარის თქმით, განკარგულების პროექტის სათაური უნდა შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“ქალაქ თბილისში, რეხის ქუჩა N6-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.08.004.065.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“

ამასთან, ბატონი ლევანის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში უნდა გასწორდეს ტექნიკური ხარვეზები და სწორი ფორმით უნდა მიეთითოს თბილისის მთავრობის 2018 წლის 4 დეკემბრის N18.966.1394 განკარგულების სათაური. ასევე, უნდა მიეთითოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური - „სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად“.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ევროპული საქართველო“ წევრმა ელენე ოზაშვილმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვენეტაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის შესახვევის კორპუს N16-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.33.003.021.01.041) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის შესახვევის კორპუს N16-ში მდებარე, 18.00 კვ.მ ფართის, ბინა N41-ის, სიმბოლურ ფასად 1 (ერთ) ლარად საკუთრებაში გადაცემას ლია კიკნაძისათვისა და ილა ოთარაშვილისათვის, რომელებიც ზემოხსენებულ მისამართზე 2002 წლიდან ცხოვრობენ.

მომხსენებელმა იქვე დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობა, ქინძმარაულის შესახვევის კორპუს N16-ში მდებარე უძრავი ქონების, ლია კიკნაძისა და ილა ოთარაშვილისთვის სიმბოლურ ფასად 1 (ერთ) ლარად, საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით.

ნინო კვენეტაძის თქმით, წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, არსებობს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის V განყოფილების ოქმი, რომლითაც დასტურდება, რომ ლია კიკნაძე და ილა ოთარაშვილი 2002 წლიდან ცხოვრობენ ზემოაღნიშნულ მისამართზე.

საკითხის წარმომდგენმა იქვე დასძინა, რომ აღნიშნული უძრავი ქონება, სადაც დღემდე ოჯახთან ერთად ცხოვრობენ ზემოაღნიშნული მოქალაქეები, ლია კიკნაძეს და ილა ოთარაშვილს 2002 წელს გადასცა მიწისძვრით დაზარალებულთა ფონდმა.

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივი დასაბუთების ნაწილში მითითებულ იქნას შემდეგი სამართლებრივი ნორმები:

- საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი; ამავე კოდექსის 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტი და 118[1] მუხლის მე-3 პუნქტი.

- აგრეთვე, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტი და ამავე წესის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტი.

კომისიის თავმჯდომარის თქმით, სასურველია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაური შეიცვალოს, და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის შესახვევის კორპუს N16-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.33.003.021.01.041) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე".

ბატონმა ლევანმა ასევე განმარტა, რომ მიზანშეწონილია განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში გასწორდეს ტექნიკური ხასიათის ხარვეზები, ასევე, უნდა მიეთითოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური - „სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად".

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ევროპული საქართველო" წევრმა ელენე ოზაშვილმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვენეტაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის II მიკრო/რაიონი, ბ. ჟღენტის ქუჩის მიმდებარედ არსებული 348 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.14.01.007.334) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/კ 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის II მიკრო/რაიონი, ბ. ჟღენტის ქუჩის მიმდებარედ არსებული 348 კვ.მ. მიწის ნაკვეთის, საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის

პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურფასად 1 (ერთი) ლარად - საკუთრებაში გადაცემას, შემდგომში სამრეკლოსა და დამხმარე ნაგებობის მშენებლობის მიზნით.

ნინო კვენეტაძის თქმით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ზემოხსენებულ საკითხთან დაკავშირებით წარედგინა სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს დადებითი რეკომენდაცია, მიწის ნაკვეთის საქართველოს საპატრიარქოსთვის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე.

მომხსენებელმა დაამატა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის 2018 წლის 12 ივნისის წერილით გაიცა დადებითი ქალაქგეგმარებითი პოზიცია, დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის განკარგვასთან დაკავშირებით, სამრეკლოსა და დამხარე ნაგებობის მშენებლობის მიზნით, მომიჯნავე საკადასტრო ერთეულთან გაერთიანების პირობით.

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში დაემატოს:

- საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, ამავე კანონის 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტი და“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

ბატონი ლევანის განმარტებით, სასურველია წარმოდგენილი განკარგულების სამართლებრივ საფუძვლებში დაემატოს, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტი, რომლის მიხედვითაც საპრივატიზებო პირობებს განსაზღვრავს ქ.თბილისის მთავრობა და ითანხმებს თბილისის საკრებულო.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ევროპული საქართველო“ წევრმა ელენე ოზაშვილმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვენეტაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლების I მიკრორაიონის კორპუს N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.007.014.01.055) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლების I მიკრორაიონის კორპუს N5-ში მდებარე უძრავი ქონების, სიმბოლურ ფასად 1(ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემას მოქალაქე მანანა გიგაურისათვის, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

ნინო კვენეტაძემ დაამატა, რომ აღნიშნული ფართი, მოქალაქე მანანა გიგაურს გადასცა მიწისძვრით დაზარალებულთა ფონდმა, სადაც დღემდე ოჯახთან ერთად ცხოვრობს - 2002 წლიდან.

მომხსენებლის თქმით, წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, სამგორის რაიონის გამგეობას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის IV განყოფილებიდან ეცნობა, რომ ზემოაღნიშნულ მისამართზე 2002 წლიდან ცხოვრობს მოქალაქე მანანა გიგაური.

დასასრულს, ნინო კვენეტაძემ განმარტა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილია, სამგორის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობა, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების, მანანა გიგაურისათვის, სიმბოლურ ფასად 1 (ერთ) ლარად, საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივი დასაბუთების ნაწილში მითითებულ იქნას შემდეგი სამართლებრივი ნორმები:

- საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი; ამავე კოდექსის 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტი და 118[1] მუხლის მე-3 პუნქტი.

- აგრეთვე, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტი და ამავე წესის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტი.

ბატონი ლევანის თქმით, სასურველია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაური შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლების I მიკრორაიონის კორპუს N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.007.014.01.055) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“.

კომისიის თავმჯდომარის მითითებით, მიზანშეწონილია განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში გასწორდეს ტექნიკური ხასიათის ხარვეზები, ასევე, უნდა მიეთითოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური - „სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად“.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ევროპული საქართველო“ წევრმა ელენე ოზაშვილმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

7. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვენტაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი “ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლებაში, დემეტრე თავდადებულის ქუჩა N10-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.06.006.044.01.504) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე'' თანხმობის მიცემის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლებაში, დემეტრე თავდადებულის ქუჩა N10-ის პირველ სართულზე არსებული 94.15 კვ.მ ფართის, სიმბოლურ ფასად 1 (ერთ) ლარად საკუთრებაში გადაცემას მოქალაქე მზია ნემსაძისათვის, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

ნინო კვენეტაძის თქმით, მოქალაქე მზია ნემსაძე, მრავალშვილიან ოჯახთან ერთად 1990 წლიდან ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზე რაც დასტურდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს ოქმით.

მომხსენებელმა იქვე დასძინა, რომ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობა, დაინტერესებაში არსებული ფართის მზია ნემსაძისთვის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მოცემულ საკითხთან დაკავშირებით არსებული გარემოებების შესწავლის პროცესში გამოვლინდა, რომ მოქალაქე მზია ნემსაძე, საკუთრების უფლებით ფლობს არასაცხოვრებელ ფართს (სარდაფს), რომლის გამოყენებაც შეუძლებელია საცხოვრებელი მიზნით. ბატონი ლევანის თქმით, აღნიშნული, არ შიძლება ჩაითვალოს დამაბრკოლებელ გარემოებად, მზია ნემსაძისთვის მის დაინტერესებაში არსებული ფართის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე მსჯელობისას.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივი დასაბუთების ნაწილში მითითებულ იქნას შემდეგი სამართლებრივი ნორმები:

- საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი; ამავე კოდექსის 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტი და 118[1] მუხლის მე-3 პუნქტი.

- აგრეთვე, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტი და ამავე წესისმე-2 მუხლის მე-6 პუნქტი.

ბატონი ლევანის თქმით სასურველია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაური შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლებაში, დემეტრე თავდადებულის ქუჩა N10-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.06.006.044.01.504) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე".

ბატონმა ლევანმა ასევე განმარტა, რომ მიზანშეწონილია განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში გასწორდეს ტექნიკური ხასიათის ხარვეზები, ასევე, უნდა მიეთითოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური - „სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად".

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ევროპული საქართველო" წევრმა ელენე ოზაშვილმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

8. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვენეტაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი" ქალაქ თბილისში, ბერიაშვილის ქუჩა N6-ში (ნაკვეთი N04/033) (საკადასტრო კოდი: N01.19.19.004.033) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, ბერიაშვილის ქუჩა N6-ში მდებარე უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად, საკუთრებაში გადაცემას, იმ პირთათვის, რომელებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით.

ნინო კვენეტაძემ იქვე დასძინა, რომ ბერიაშვილის ქუჩა N6-ში მდებარე უძრავი ქონება გადაეცემა 16 (თექვსმეტი) ოჯახს, რომლებიც 2006 წლიდან სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით.

მომხსენებელმა იქვე დასძინა, რომ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობები, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების 16 ოჯახისათვის, სიმბოლურ ფასად 1 (ერთ) ლარად საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით.

საკითხის წარმომდგენმა დაამატა, რომ მოცემულ საკითხთან დაკავშირებით არსებული გარემოებების შესწავლის პროცესში გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების გადაცემით დაინტერესებული ზოგიერთი პირი, საკუთრების უფლებით საქართველოს ზოგიერთ რაიონში ფლობს უძრავ ქონებას (მიწის ნაკვეთებს).

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ევროპული საქართველო" წევრმა ელენე ოზაშვილმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

9. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვენეტაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, გლდანის მასივის VI მიკრო/რაიონის კორპუს N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.10.010.001.01.502) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, VI მიკრორაიონის კორპუს N7-ში, პირველ სართულზე მდებარე, 144,43 კვ.მ. უძრავი ქონების, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად, საკუთრებაში გადაცემას მოქალაქე ნანა ძნელაძისათვის, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

ნინო კვენეტაძის თქმით, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილია, ქ.თბილისის გლდანის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობა, სადაც განმარტებულია, რომ ქალბატონი ნანა, 6 (ექვსი) სულიან ოჯახთან ერთად, 2000 წლიდან ცხოვრობს მითითებულ მისამართზე. ოჯახს მინიჭებული აქვს სოციალურად დაუცველის სტატუსის და არ ფლობს სხვა რაიმე უძრავ ქონებას.

დასასრულს, მომხსენებელმა დასძინა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, გლდანის რაიონის გამგეობაში წარდგენილია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს ოქმი, რომელშიც განმარტებულია, რომ 1972 წელს დაბადებული მოქალაქე ნანა ძნელაძე, მითითებულ მისამართზე ცხოვრობს ოჯახთან ერთად 15 წელია.

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივი დასაბუთების ნაწილში მითითებულ იქნას შემდეგი სამართლებრივი ნორმები:

- საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი; ამავე კოდექსის 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტი და 118[1] მუხლის მე-3 პუნქტი.

- აგრეთვე, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტი და ამავე წესის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტი.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სასურველია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაური შეიცვალოს, ჩაემატოს სიტყვები - „საკითხის შეთანხმების“ და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქალაქ თბილისში, გლდანის მასივი, VI მიკრორაიონისკორპუს N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.10.010.001.01.502) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“.

გარდა აღნიშნულისა, ბატონი ლევანის თქმით, მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში სწორი რედაქციით მიეთითოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 4 დეკემბრის N18.963.1399 განკარგულების სათაური და ასევე, მიეთითოს საკუთრებაში გადასაცემი უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური - სიმბოლური თანხის 1 (ერთი) ლარის ოდენობით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ევროპული საქართველო“ წევრმა ელენე ოზაშვილმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

10. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვენეტაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი N89-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.24.008.002.01.532; N01.19.24.008.002.01.533) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე'' თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი N89-ში მდებარე უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად მოქალაქე ლუბა ჩიპლიევასათვის საკუთრებაში გადაცემას.

მომხსენებლის მითითებით, 1992 წლის 11 მაისს, სსრკ ა/კ წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის სამხედრო ნაწილის სამხედრო-სამშენებლო განყოფილებამ, N106 ბინის ორდერით, მოქალაქე ალექსანდრე პეტრეს ძე ჩიპლიევს (ლუბა ჩიპლიევას მეუღლე) და მის ოჯახს სარგებლობაში გადასცა ზემოაღნიშნულ მისამართზე მდებარე საცხოვრებელი ფართები.

ნინო კვენეტაძის თქმით, ლუბა ჩიპლიევა 1965 წლიდან - დღემდე ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზე, რაც დასტურდება, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს ოქმითა და მოქალაქე - ლუბა ჩიპლიევას მეზობლების შესაბამისი დასტურით.

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივი დასაბუთების ნაწილში მითითებულ იქნას შემდეგი სამართლებრივი ნორმები:

- საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი; ამავე კოდექსის 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტი და 118[1] მუხლის მე-3 პუნქტი.

- აგრეთვე, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტი და ამავე წესისმე-2 მუხლის მე-6 პუნქტი.

კომისიის თავმჯდომარის თქმით, განკარგულების პროექტის სათაური უნდა შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი N89-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.24.008.002.01.532; N01.19.24.008.002.01.533) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“

ბატონი ლევანის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში უნდა გასწორდეს ტექნიკური ხარვეზები, სწორი ფორმით უნდა მიეთითოს თბილისის მთავრობის 2018 წლის 4 დეკემბრის N18.964.1398 განკარგულების სათაური, განკარგულების ნომერი და გადასაცემი უძრავი ქონების ორივე საკადასტრო კოდი. ასევე, უნდა მიეთითოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური - „სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად“.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

11. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვენეტაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, საქსოფმანქანის დასახლებაში, მე-4 კვარტლის კორპუს N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.007.013.01.059) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით

პრივატიზების თაობაზე“ თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, საქსოფმანქანის დასახლებაში, მე-4 კვარტალი, კორპუსი N5-ში მდებარე, 70 კვ.მ. უძრავი ქონების, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემას, მოქალაქე მაყვალა ჯავახიშვილისათვის.

მომხსენებლის თქმით, მოქალაქე მაყვალა ჯავახიშვილი 2002 წელს მომხდარი მიწისძვრის შედეგად მიყენებული ქონებრივი ზიანის გამო, 16 (თექვსმეტი) წელია ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზე, ხოლო მისი ოჯახი, სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაშია დაფიქსირებული.

ნინო კვენეტაძემ ასევე აღნიშნა რომ ქალაქ თბილისის მთავრობასთან იშუამდგომლა სამგორის რაიონის გამგეობამ, ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლება, მე-4 კვარტალი, კორპუსი N5, ბინა N59-ის მოქალაქე მაყვალა ჯავახიშვილისათვის საკუთრებაში სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად გადაცემასთან დაკავშირებით.

ასევე, მომხსენებლის მითითებით, წარმოდგენილია სანოტარო წესით დამოწმებული დოკუმენტი, სადაც მითითებულია, რომ მოქალაქეები: ნარგიზი უზნაძე, ლილი თიგიშვილი, ნინო ლონდარიძე ადასტურებენ, რომ მაყვალა ჯავახიშვილი 2002 წლიდან დღემდე ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზე.

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მაყვალა ჯავახიშვილს 2015 წელს თანასაკუთრებაში ჰქონდა ქონება, კნოლევის ქუჩაზე 34 კვადრატი, რომელიც ამჟამად კახაბერ ჯავახიშვილის სახელზეა. კომისიის თავმჯდომარის თქმით, ეს ის ქონებაა, რომელიც მიწისძვრის შედეგად დაზიანდა/დაინგრა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივი დასაბუთების ნაწილში მითითებულ იქნას შემდეგი სამართლებრივი ნორმები:

- საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი; ამავე კოდექსის 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტი და 118[1] მუხლის მე-3 პუნქტი.

- აგრეთვე, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტი და ამავე წესისმე-2 მუხლის მე-6 პუნქტი.

კომისიის თავმჯდომარის თქმით, სასურველია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაური შეიცვალოს, ჩაემატოს სიტყვები - „საკითხის შეთანხმების“ და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქალაქ თბილისში, საქსოფმანქანის დასახლებაში, მე-4 კვარტლის კორპუს N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.007.013.01.059) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“.

ბატონი ლევანის თქმით, მიზანშეწონილია, რომ განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში სწორი რედაქციით მიეთითოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 4 დეკემბრის N18.965.1395 განკარგულების სათაური, მიღების თარიღი და ნომერი, ასევე, აღნიშნულ პუნქტში მიეთითოს საკუთრებაში გადასაცემი უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური - სიმბოლური თანხის 1 (ერთი) ლარის ოდენობით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ევროპული საქართველო“ წევრმა ელენე ოზაშვილმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

12. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვენეტაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, ორხევის დასახლებაში, ახვლედიანის ქუჩა კორპუს N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.17.004.005.01.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი

განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ორხევის დასახლებაში, ახვლედიანის ქუჩა კორპუს N2-შიმდებარე უძრავი ქონების, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, მოქალაქე გოდერძი ცანავასათვის საკუთრებაში გადაცემას.

ნინო კვენეტაძის თქმით, გოდერძი ცანავა ოჯახთან ერთად ზემოხსენებულ მისამართზე ცხოვრობს 2002 წლიდან, რაც დასტურდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს მოწერილობით.

მომხსენებელმა იქვე დასძინა, რომ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობა, ზემოხსენებული უძრავი ქონების მოქალაქე გოდერძი ცანავასათვის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივი დასაბუთების ნაწილში მითითებულ იქნას შემდეგი სამართლებრივი ნორმები:

- საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი; ამავე კოდექსის 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტი და 118[1] მუხლის მე-3 პუნქტი.

- აგრეთვე, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტი და ამავე წესის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტი.

კომისიის თავმჯდომარის თქმით, სასურველია წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქალაქ თბილისში, ორხევის დასახლებაში, ახვლედიანის ქუჩა კორპუს N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.17.004.005.01.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“

ბატონი ლევანის განმარტებით, მიზანშეწონილია, რომ განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში სწორი რედაქციით მიეთითოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 4 დეკემბრის N18.981.1235 განკარგულების სათაური, ასევე, მიეთითოს საკუთრებაში გადასაცემი უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური - სიმბოლური თანხის 1 (ერთი) ლარის ოდენობით და განკარგულების პროექტის პირველი პუნქტი ტექნიკურად გამართული სახით ჩამოყალიბდეს.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ევროპული საქართველო“ წევრმა ელენე ოზაშვილმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

13. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვენეტაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, ფონიჭალა 3-ის დასახლების კორპუს N17-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.13.024.006.01.117) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ფონიჭალა 3-ის დასახლების კორპუს N17-ში მდებარე უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, მოქალაქე ლიანა კაიშაურისათვის საკუთრებაში გადაცემას.

ნინო კვენეტაძის თქმით, ქალბატონი ლიანა 10 წელზე მეტია ფლობს და სარგებლობს ზემოხსენებული ფართით, რაც დასტურდება ნოტარიუსის მიერ დამოწმებული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა ,,იმედი“-ს კრების ოქმით.

მომხსენებელმა იქვე დასძინა, რომ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგეობის წერილობითი

შუამდგომლობა, მოქალაქე ლიანა კაიშაურისათვის ზემოხსენებული უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივი დასაბუთების ნაწილში მითითებულ იქნას შემდეგი სამართლებრივი ნორმები:

- საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი; ამავე კოდექსის 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტი და 118[1] მუხლის მე-3 პუნქტი.

- აგრეთვე„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტი და ამავე წესის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტი.

კომისიის თავმჯდომარის თქმით, სასურველია წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ქალაქ თბილისში ფონიჭალა 3-ის დასახლების კორპუს N17-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.13.024.006.01.117) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე"

ბატონი ლევანის განმარტებით, მიზანშეწონილია, რომ განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში სწორი ფორმით მიეთითოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 4 დეკემბრის N18.982.1234 განკარგულების სათაური, ასევე მიეთითოს საკუთრებაში გადასაცემი უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური - სიმბოლური თანხის 1 (ერთი) ლარის ოდენობით და განკარგულების პროექტის პირველი პუნქტი ტექნიკურად გამართული სახით ჩამოყალიბდეს.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ევროპული საქართველო" წევრმა ელენე ოზაშვილმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების

გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

14. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვენეტაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი იქნა „ქალაქ თბილისში, შოთა ნადირაშვილის ქ.N34-ის მე-6 სართულზე („ა“ ბლოკი) მდებარე ბინა N42-ის (ს/კ: N01.17.14.003.508.01.042) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, შოთა ნადირაშვილის ქ.N34-ის მე-6 სართულზე მდებარე 97.78 კვ.მ. ფართობის ბინა N42-ის, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, მოქალაქე მზია ნინოშვილისთვის საკუთრებაში გადაცემას.

ნინო კვენეტაძის თქმით, მზია ნინოშვილი გახლავთ, სპორტულ ტანვარჯიშში ევროპის ჩემპიონი, საქართველოს შვიდგზის ჩემპიონი, საერთაშორისო კლასის სპორტის საპატიო ოსტატი.

მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა ქალბატონი მზიასა და მისი ოჯახის დამსახურება, სახელმწიფოს და საზოგადოების წინაშე, რაც გულისხმობს 1991 წელს რაჭაში მომხდარი მიწისძვრით დაზარალებულთა დასახმარებლად 110 სააგარაკე კოტეჯის სახელმწიფოსთვის გადაცემას. ასევე, მომხსენებელმა ისაუბრა ქალბატონი მზიას ქველმოქმედების შესახებ და აღნიშნა, რომ ქალბატონ მზიას, ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტისთვის უსასყიდლოდ გადაცემული აქვს (3000 წიგნი), ხოლო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის (1000 წიგნი).

ნინო კვენეტაძის თქმით, მზია ნინოშვილის დამსახურების გათვალისწინებით, 2008 წელს თბილისის მთავრობის და სახელმწიფო ორგანოების მიერ მიღებული იყო გადაწყვეტილებები, მისთვის 4800 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, ნორმატიულ ფასად, საპრივატიზებო საფასურის ერთი წლის განმავლობაში გადახდის შესაძლებლობით.

მომხსენებლის განმარტებით, ქალბატონმა მზიამ საპრივატიზებო საფასურის გადახდა ვერ შეძლო, შესაბამისად ვერ მოხერხდა აღნიშნული მიწის ნაკვეთის მისთვის საკუთრებაში გადაცემა. ამ გარემოებების აღნიშვნით, მზია ნინოშვილმა განცხადებით მიმართა ქ.

თბილისის მერს და შესაძლებლობის გამონახვის შემთხვევაში ითხოვა საცხოვრებელი ბინის გადაცემა უსახლკაროდ დარჩენილი მისი ცხრასულიანი ოჯახისთვის.

დასასრულს, იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ მზია ნინოშვილის დამსახურების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივი დასაბუთების ნაწილში მითითებულ იქნას შემდეგი სამართლებრივი ნორმები:

- საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი; ამავე კოდექსის 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტი და 118[1] მუხლის მე-3 პუნქტი.

- აგრეთვე,„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტი და ამავე წესის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტი.

ბატონი ლევანის თქმით, განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში უნდა მიეთითოს საკუთრებაში გადასაცემი უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური - სიმბოლური თანხის 1 (ერთი) ლარის ოდენობით და განკარგულების პროექტის პირველი პუნქტი ტექნიკურად გამართული სახით ჩამოყალიბდეს.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

15. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - **ნინო კვენეტაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე არსებული 1756 კვ.მ მიწის ნაკვეთის (**საკადასტრო კოდი: N01.10.13.016.148**) შპს ,,ალმასთვის" (ს/ნ: 204873388) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე არსებული უძრავი ქონების **შპს ,,ალმა პლიუსისთვის'' (უფლებამონაცვლე შპს ,,ალმა''),** პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებას.

როგორც **საკითხის წარმომდგენმა** განმარტა, ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2011 წლის 25 მაისის ბრძანების საფუძველზე შპს ,,ალმა პლიუსს'' (უფლებამონაცვლე შპს ,,ალმა'') გადასასვლელი ხიდების მოწყობის მიზნით, 2023 წლამდე ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით აღნაგობის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაეცა 13 (ცამეტი) ერთეული მიწის ნაკვეთი, მათ შორის, ქ.თბილისში, მარშალ გელოვანის გამზირზე არსებული N01.17.10.011.038 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი. კომპანიას აგრეთვე მიეცა უფლება, გადასასვლელ ხიდზე განეხორციელებინა სარეკლამო საქმიანობა.

ნინო კვენეტაძის თქმით, ქ.თბილისში, მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, მარშალ გელოვანის გამზირის გადაკვეთაზე, ,,ვეფხვი და მოყმის'' ძეგლთან ხორციელდება სატრანსპორტო კვანძის პროექტი, სადაც მდებარეობს სარეკლამო ბანერები და ავტობუსის გაჩერება. ნინო კვენეტაძის თქმით, სამშენებლო სამუშაოების დაწყება დაგეგმილია 2019 წლის იანვრიდან.

როგორც **საკითხის წარმომდგენმა** განაცხადა, ზემოაღნიშნული პროექტის განხორციელების ხელშეწყობის მიზნითა და სააგენტოს თხოვნის საფუძველზე, შპს ,,ალმამ'' განახორციელა N01.17.10.011.038 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებული გადასასვლელი ხიდის დემონტაჟი, რომლის განხორციელებისას აღნიშნული კომპანიის მიერ გაწეულია 32 269.86 ლარის ოდენობით დანახარჯი.

ასევე, **ქალბატონი ნინოს** თქმით, იმის გათვალისწინებით, რომ შპს ,,ალმას'' ქ.თბილისში, მარშალ გელოვანის გამზირზე არსებული ზემოაღნიშნული საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთზე, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო შეუწყდა სარგებლობის უფლება, კომპანიის მიერ დაანგარიშებულ იქნა მიუღებელი შემოსავალი.

წარმოდგენილი 2018 წლის 24 ოქტომბრის N007424918 ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, ზემოაღნიშნული სარეკლამო აბრების სრულად გაქირავების შემთხვევაში 2018 წლის 1 აგვისტოდან 2023 წლის 9 ივლისამდე განვლილ პერიოდში, მისაღები შემოსავალი საორიენტაციოდ შეადგენს 931691 ლარს, ყოველთვიური გაქირავებიდან მისაღები შემოსავალი შეადგენს 5998 აშშ დოლარს.

მომხსენებლის მითითებით, ამავე დასკვნის მიხედვით ზემოაღნიშნულ ობიექტზე წლიური ხარჯი შეადგენს 1728 ლარს, ხოლო აღნაგობის საფასური 542,77 ლარს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ყოველთვიური შემოსავალი შეადგენს 15714 ლარს, ხოლო ხარჯები 190 ლარს. შესაბამისად შემოსავალი აღნიშნული ხარჯების გამოკლებით ყოველთვიურად განისაზღვრება 15524 ლარით, შემოსავლის მიღების პერიოდია 59,29 თვე, ხოლო დისკონტის განაკვეთის განსაზღვრისას გაკეთებული იქნა დაშვება და დისკონტირების დროს აღებული იქნა 15%-იანი განაკვეთი.

საკითხის წარმომდგენის განმარტებით, ექსპერტის მიერ დღევანდელი ღირებულების დასადგენად განხორციელდა 59 თვის და 9 დღის განმავლობაში, ყოველთვიურად მისაღები შემოსავლის, 15524 ლარის, დისკონტირება წლიური 15%-იანი განაკვეთით, რამაც შეადგინა 647 335 ლარი.

შესაბამისად **მომხსენებელმა** შეაჯამა ექსპერტიზით განსაზღვრული საკითხები და დასკვნის სახით აღნიშნა, რომ 2018 წლის 1 აგვისტოდან - 2023 წლის 9 ივლისამდე განვლილ პერიოდში ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, გადასასვლელ ხიდზე განთავსებული 200 კვ.მ სარეკლამო აბრის გაქირავებით, შპს ,,ალმა'' მიიღებდა 647 335 ლარს.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, 2018 წლის 20 ნოემბრის განცხადებით შპს ,,ალმამ'' მოითხოვა მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე არსებული, N01.10.13.016.148 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 1756 კვ.მ მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემა, რომლის ღირებულება, ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით შეადგენს 830 707 ლარს. ასევე, ქალბატონი ნინოს თქმით, აღნიშნულ განცხადებაში შპს ,,ალმას'' მიერ ნათქვამია, რომ **დაინტერესებაში არსებული** მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ, კომპანია ახორციელებს სამშენებლო სამუშაოებს და იგი მზადყოფნას გამოთქვამს, დაფაროს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულების, გადასასვლელი ხიდის დემონტაჟის ხარჯებისა და მიუღებელ შემოსავალს შორის არსებული სხვაობა 160 103 (ას სამოცი ათას ასსამი) ლარი.

საკითხის წარმომდგენის თქმით, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ შპს ,,ალმას'' მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო შეუწყდა სარგებლობის უფლება, შესაბამისად ის სარეკლამო საქმიანობის განხორციელების გზით ვერ მიიღებს შემოსავალს, ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ კომპანიამ საკუთარი ხარჯებით განახორციელა გადასასვლელი ხიდის დემონტაჟი და გასწია შესაბამისი ხარჯი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, შპს ,,ალმას'' საკუთრებაში გადაეცეს, ქალაქ თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე არსებული 1756 კვ.მ მიწის ნაკვეთი, მისი საბაზრო ღირებულებას, გადასასვლელი ხიდის დემონტაჟის

ხარჯებსა და მიუღებელ შემოსავალს შორის არსებული სხვაობის ოდენობით გადახდის გზით.

აზრი გამოთქვეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის თქმით, ქალაქ თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე არსებული 1756 კვ.მ მიწის ნაკვეთს მინიჭებული აქვს რზ-2 სტატუსი.

მომხსენებელმა უპასუხა კომისიის თავმჯდომარეს და განმარტა, რომ შპს ,,ალმა" -სთვის ცნობილია აღნიშნული ფაქტი და მისთვის მისაღებია აღნიშნული მიწის ნაკვეთის ფუნქციური ზონის სტატუსი.

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, განკარგულების სამართლებრივი საფუძვლების ნაწილში, მითითებული უნდა იქნეს საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი და 118[1] მუხლის პირველი პუნქტი.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ევროპული საქართველო" წევრმა ელენე ოზაშვილმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

16. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვენეტაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, ვანის ქუჩა #15-ში (საკადასტრო კოდი: #01.13.06.002.026) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს ქ. თბილისში, ვანის ქუჩა #15-ში მდებარე უძრავი ქონების, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად იმ პირთათვის საკუთრებაში გადაცემას, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით.

ნინო კვენეტაძის თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქეებმა: ნელი ხოდელმა, გიორგი ხოდელმა, ვენერა ანტონიანმა, ჟენია დევაძემ, ბელა ბასილაშვილმა, მიხეილ ელისაშვილმა, ვენერა თაბუაშვილმა, გოგი სანაიამ, თემურ ყურაშვილმა და ითხოვეს მათ მიერ ვანის ქუჩა #15-ში დაკავებული ფართების დაკანონება. აღსანიშნავია, რომ მოქალაქეები მითითებულ მისამართზე ცხოვრობენ 1997 - 2005 წლებიდან შპს „საქართველოს რკინიგზის" მიერ გაცემული ნებართვების საფუძველზე.

ნინო კვენეტაძემ განმარტა, რომ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობის წერილობით მიმართვები, ვანის ქუჩა #7-ში (დღევანდელი ვანის ქუჩა #15) მცხოვრები მოქალაქეებისათვის ფართების დაკანონებასთან დაკავშირებით.

დასასრულს საკითხის წარმომდგენმა დაამატა, რომ მოქალაქეებს - ნელი ხოდელს, ბელა ბასილაშვილსა და გოგი სანაიას, თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რაიონებში ერიცხებოდათ უძრავი ქონება, რომელიც 2007- 2009 წლებში გაასხვისეს.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ელენე ოზაშვილმა და ნინო ლაცაბიძემ.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

17. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვენეტაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი" ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი №37-ის მიმდებარედ არსებული 12 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.14.14.003.199) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „არქი თაუერისთვის" (ს/კ: 404987305) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, შპს შპს „არქი თაუერისთვის" ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი №37-ის მიმდებარედ არსებული 12 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით,

იჯარის ფორმით გადაცემას, კიბის მოწყობის მიზნით, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- ✓ იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრება 10 წლით.
- ✓ ხოლო, საიჯარო ქირის წლიური საფასური, ექსპერტიზის დასკვნის გათვალისწინებით, შეადგენს 1 500 (ათას ხუთასი) ლარს.

საკითხის წარმომდგენმა დაამატა, რომ აღნიშნული კომპანია საკუთრების უფლებით ფლობს ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი №37ლ-ში არსებულ ფართებს.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

18. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - **ნინო კვენეტაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, 9 მარტის პარკის ტერიტორიაზე არსებული 11521 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი:№ 01.15.04.029.001) 40 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „არტისთვის" (ს/ნ: 437062919) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, შპს „არტისთვის" ქალაქ თბილისში, 9 მარტის პარკის ტერიტორიაზე არსებული, 11521 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან, 40 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემას, **ღია კაფეს მოწყობის** მიზნით, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- ✓ იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრება 2023 წლის 19 ივნისამდე.
- ✓ ხოლო, საიჯარო ქირის წლიური საფასური, ექსპერტიზის დასკვნის გათვალისწინებით, შეადგენს 7700 (შვიდი ათას შვიდასი) ლარს.

მომხსენებელმა დაამატა, რომ აღნიშნული კომპანიის სარგებლობაშია ქალაქ თბილისში, 9 მარტის პარკის ტერიტორიაზე არსებული 11521 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 64 კვ.მ მიწის ნაკვეთი 2023 წლის 19 ივნისამდე ვადით.

აზრი გამოთქვეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრმა - თინათინ ნიბლოშვილმა მომხსენებლის მიმართ დასვა შეკითხვა და დაინტერესდა, იგეგმება თუ არა 9 მარტის პარკის რეაბილიტაცია.

ნინო კვენეტაძემ უპასუხა ქალბატონ თინათინს და განაცხადა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არ ფლობს ინფორმაციას.

კომისიის თავმჯდომარის თქმით, სასურველია წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი რომლის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს განკარგულება.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

19. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვენეტაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი“ ქალაქ თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირი №67-ის მიმდებარედ არსებული 25 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.17.13.038.046) შპს „ჯორჯიან ბიზნეს კომპანიისთვის“ (ს/კ: 402072500) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, შპს „ჯორჯიან ბიზნეს კომპანიისთვის“ ქ. თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირი №67-ის მიმდებარედ არსებული 25 კვ.მ. მიწის ნაკვეთის, პირდაპირი განკარგვის წესით,

სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემას, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, შემდეგი პირობების გათვალისწინებით.

- ✓ იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრა 2023 წლის 2 მაისამდე.
- ✓ ხოლო, საიჯარო ქირის წლიური საფასური, ექსპერტიზის დასკვნის გათვალისწინებით, შეადგენს 3 000 (სამი ათასი) ლარს.

საკითხის წარმომდგენის თქმით, აღნიშნული კომპანია იჯარით ფლობს ქალაქ თბილისში, ქეთევან წამებულის გამზ. №67-ში მდებარე 120 კვ.მ. ფართს, ხუთი წლით, აღნიშნული ფართის მესაკუთრესთან 2018 წლის 1 მაისს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე.

ნინო კვენეტაძემ დაამატა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წერილის თანახმად, სამსახურმა შესაძლებლად მიიჩნია, ქეთევან წამებულის გამზირი №67-ის მიმდებარედ არსებული 25 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე, ღია კაფის მოწყობა, იმ პირობით, რომ დაცული იქნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები“-ს 34-ემუხლისმე-5 პუნქტისდა 35-ემუხლისმე-2 დამე-3 პუნქტების მოთხოვნები.

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა განაცხადა, რომ განკარგულების პროექტის სათაურში უნდა გასწორდეს ტექნიკური ხასიათის ხარვეზი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“ქალაქ თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირი №67-ის მიმდებარედ არსებული 25 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.17.13.038.046) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჯორჯიან ბიზნეს კომპანიისთვის“ (ს/კ: 402072500) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე”.

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, ანალოგიური ხასიათის ხარვეზი უნდა გასწორდეს და ახალი რედაქციით ჩამოყალიბდეს წარმოდგენილი განკარგულების პროექტის პირველი პუნქტი.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების

გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

20. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვენეტაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №47-ის მიმდებარედ 7 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.16.05.021.033) პირდაპირი განკარგვის წესით ცაბუ პატარიძისთვის (პ/ნ:01030001330) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე " ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის თქმით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №47-ის მიმდებარედ 7 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ცაბუ პატარიძისთვის, სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით 5 წლის ვადით გადაცემას, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- ✓ იჯარის მოქმედების ვადა განსაზღვრულია 5 (ხუთი) წლით.
- ✓ ხოლო, საიჯარო ქირის წლიური საფასური, ექსპერტიზის დასკვნის გათვალისწინებით, განსაზღვრულია 1300 (ათას სამასი) ლარით.

საკითხის წარმომდგენმა დაამატა, რომ აღნიშნული პირის საკუთრებაშია ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №47-ში მდებარე უძრავი ქონება.

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

ბატონმა ლევანმა მიუთითა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაური უნდა შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №47-ის მიმდებარედ 7 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.16.05.021.033) პირდაპირი განკარგვის წესით ცაბუ პატარიძისთვის (პ/ნ:01030001330) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვისკომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

21. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვენეტაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზ. #62-ის მიმდებარედ არსებული 292 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.14.11.003.029) 18 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „ემვე კომპანისთვის“ (ს/კ: 406127016) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, შპს „ემვე კომპანისთვის“ ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი №62-ის მიმდებარედ არსებული 18 კვ.მ. მიწის ნაკვეთის, პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემას, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- ✓ იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრება 2020 წლის 28 ივნისამდე ვადით.
- ✓ ხოლო, საიჯარო ქირის წლიური საფასური, ექსპერტიზის დასკვნის გათვალისწინებით, შეადგენს 2 600 (ორი ათას ექვსასი) ლარს.

საკითხის წარმომდგენმა დაამატა, რომ აღნიშნული კომპანია იჯარით ფლობს ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №62-ში მდებარე 39 კვ.მ ფართს 5 წლის ვადით, მესაკუთრესთან გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებით.

ნინო კვენეტაძემ იქვე დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 1 ოქტომბრის წერილის თანახმად, სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია მიწის ნაკვეთზე ღია კაფეს მოწყობა, იმ პირობით თუ დაცული იქნება „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების მოთხოვნები.

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, განკარგულების პროექტის სათაური უნდა შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზ. #62-ის მიმდებარედ არსებული 292 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.14.11.003.029) 18 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ემვე კომპანისთვის“ (ს/კ: 406127016) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე”

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვისკომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

22. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვენეტაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი ,,ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2013 წლის 24 სექტემბრის NE-218-12-7711 გადაწყვეტილებით გათვალისწინებული სარგებლობის საფასურის გადახდის ვალდებულების დარღვევისათვის, სარგებლობის პირობების 10.1 პუნქტის საფუძველზე დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსაგან ნიკა ლობჟანიძის (პ/ნ: 60001122517) გათავისუფლების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ნინო კვენეტაძის თქმით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2013 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილების თანახმად, ნიკა ლობჟანიძეს, როგორც აუქციონზე გამარჯვებულ პირს, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, 10 წლის ვადით, გადაეცა ქ. თბილისში, ლესელიძის ქ. N12-ის მიმდებარედ არსებული 26 კვ.მ მიწის ნაკვეთი (ს/კ: N01.18.03.026.016). ქ.თბილისის მთავრობის მიერ დადგენილი სააუქციონო პირობების მიხედვით, აღნიშნული მიწის ნაკვეთის სარგებლობის წლიური საფასური განისაზღვრა 6000 (ექვსი ათასი) ლარის ოდენობით, ხოლო სარგებლობის პირობების 10.1 პუნქტის შესაბამისად, სარგებლობის საფასურის (ქირის) გადაუხდელობის ან გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში პირგასამტეხლო განისაზღვრა ქირის 0,1%-ის, მაგრამ არანაკლებ 1 (ერთი) ლარის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

საკითხის წარმომდგენის განმარტებით, ქ. თბილისის მთავრობის მიერ სხვა სააუქციონო პირობა ან შეზღუდვა არ ყოფილა, რაც ნიკა ლობჟანიძეს უქმნიდა ლეგიტიმურ ინტერესს, რომ უძრავ ქონებას გამოიყენებდა შეხედულებისამებრ.

მომხსენებლის განმარტებით, ნიკა ლობჟანიძემ, არაერთი განცხადებით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს, სარგებლობის უფლებით აღებულ მიწის ნაკვეთზე დროებითი შენობის განთავსების შესაძლებლობის თაობაზე, თუმცა მისი მოთხოვნა არც ერთხელ დაკმაყოფილდა. აღნიშნული, ნიკა ლობჟანიძის მიერ გასაჩივრებულ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოში.

როგორც ნინო კვენეტაძემ აღნიშნა, ნიკა ლობჟანიძის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: ბათილად იქნა ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით უარი ეთქვა ნიკა ლობჟანიძეს სარგებლობის უფლებით აღებულ მიწის ნაკვეთზე დროებითი შენობის განთავსების შესაძლებლობის თაობაზე და სამსახურს დაევალა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა საქმის არსებითი გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, თუმცა აღნიშნულმა სამსახურმა კვლავ უარი უთხრა - იჯარით გადაცემულ 26 კვ.მ მიწის ნაკვეთზე დროებითი ნაგებობის განთავსებაზე.

საკითხის წარმომდგენის თქმით, 2017 წლის 15 ნოემბრის ბრძანებით შეწყდა - ქ.თბილისში ლესელიძის ქ.N12-ის მიმდებარედ არსებულ 26 კვ.მ მიწის ნაკვეთზე იჯარის უფლება და შეწყვეტის მდგომარეობით მოიჯარეს ეკისრება, როგორც საიჯარო ქირის, ასევე პირგასამტეხლოს დავალიანება. რასთან დაკავშირებითაც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, სადაც მიმდინარეობს საქმის განხილვა.

ნინო კვენეტაძის განცხადებით, ნიკა ლობჟანიძის წარმომადგენელმა, სააგენტოს მიმართა არაერთი განცხადებით, რომელშიც ნათქვამია, რომ მოიჯარემ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ ისარგებლა ზემოხსენებულ 26 კვ.მ მიწის ნაკვეთზე იჯარის უფლებით. ასევე, ნიკა ლობჟანიძემ 2018 წლის 20 ნოემბერს წერილით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, რომელშიც აღნიშნულია, რომ იგი უარს განაცხადებს - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ ლესელიძის ქუჩა N12-ის მიმდებარედ 26 კვ.მ მიწის ნაკვეთთან დაკავშირებულ ნებისმიერ მოთხოვნასა და უფლებაზე და ასევე, განაცხადებს, რომ აღნიშნულ მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით პრეტენზიები არ გააჩნია მუნიციპალიტეტის ორგანოების მიმართ, იმ პირობით, რომ თბილისის მერია გამოიხმობს სარჩელს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მიმდინარე საქმეზე და ასევე, მთავრობა მას გაათავისუფლებს სარგებლობის საფასურის სახით გადასახდელი თანხის და დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებისაგან.

დასასრულს, იურიდიული და **საინვესტიციო პროექტების სამსახურის** უფროსმა აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

მთავრობა მიზანშეწონილად მიიჩნევს, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2013 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილებით გათვალისწინებული სარგებლობის საფასურის გადახდის ვალდებულების დარღვევისათვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან ნიკა ლობჟანიძის გათავისუფლების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენას.

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის - **ლევან ჟორჟოლიანმა** განაცხადა, რომ მიესალმება წარმოდგენილი საკითხის ასეთი ფორმით გადაწყვეტას. ბატონმა ლევანმა აღნიშნა, რომ ხშირია შემთხვევები, როდესაც სარგებლობის უფლებით გადაცემულ მიწის ნაკვეთებზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური არ გასცემს მშენებლობის ნებართვას, რაც ხშირ შემთხვევაში ხდება სასამართლო დავების საფუძველი.

გადაწყვიტეს:

იურიდიულსაკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვისკომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე		ლევან ჟორჟოლიანი
სხდომის მდივანი		ნინო ჯალაღანია